

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები

(შუალედური ანგარიში)

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „უსაფრთხოების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED). პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი	3
1. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები.....	3
2. საკანონმდებლო მიმოხილვა	4
3. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის მოდელის მიმოხილვა	7
3.1. საპარლამენტო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები	9
3.2. საპარლამენტო ზედამხედველობის წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები....	12
4. უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის პრაქტიკული ხარვეზები	15
4.1. ნდობის ჯგუფის საქმიანობის შეფასება - საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები	16
4.1.1 საკანონმდებლო ხარვეზები	16
4.1.2 ნდობის ჯგუფის შემადგენლობა - პოლიტიკურ ძალთა დისბალანსი	17
4.1.3 პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები.....	18
5. საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვებისა და მიღებული პასუხების ანალიზი	20
5.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	21
5.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.....	22
5.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.....	25
4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება	27

შესავალი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის, ასევე, პარლამენტის წევრებთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით მოამზადა შუალედური ანგარიში, სადაც კრიტიკულად არის შეფასებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის არსებული მექანიზმები. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის მოდელების მიმოხილვა.

ანგარიში მოიცავს 2021 წლის 1-ელი იანვრიდან 2022 წლის 1-ელ ივნისამდე პერიოდს.

1. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები

უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე კონტროლის უმნიშვნელოვანეს ორგანოა პარლამენტი. პარლამენტი კანონშემოქმედების გზით უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახურებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიღებას, შეცვლას და, შესაბამისად, მათთვის ამა თუ იმ უფლებამოსილების მინიჭებას ან/და ჩამორთმევას. ამავდროულად, კონსტიტუციით განმტკიცებული საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, შესაძლოა, ჩაითვალოს უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიად.¹

თავის მხრივ, კანონშემოქმედების გზით პარლამენტი თავის თავს უსაზღვრავს, რა ფარგლებში აკონტროლოს უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები. 2018 წელს ახალი რეგლამენტის მიღებით საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები დაიხვეწა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დღეს მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულია უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის განხორციელების შემდეგი მექანიზმები: კითხვის დასმა და ინტერპელაცია,² კომიტეტის სხდომაზე სამსახურის უფროსის სავალდებულო დასწრება,³ პარლამენტის სხდომაზე სამსახურის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა,⁴ საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფისა და სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მიერ კონტროლის განხორციელება.⁵

¹ საპარლამენტო კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე: პრინციპები, მექანიზმები და პრაქტიკა, გვ. 75, ხელმისაწვდომია https://www.files.ethz.ch/isn/129147/ipu_hb_georgian.pdf, გვ. 75

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 43, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148 – 149

³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 40, პუნქტი 3

⁴ იქვე, მუხლი 171, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 2

⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 156

2. საკანონმდებლო მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში „შს“), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში „სუს-ი“) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) საქმიანობას აკონტროლებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფისა და სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით.⁶ ზედამხედველობა, შესაძლოა, განხორციელდეს როგორც კომიტეტის, ფრაქციის და საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის, ისე ინდივიდუალური დეპუტატის დონეზე. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტში ოპოზიციური ძალის მანდატი - აკონტროლოს ანგარიშვალდებული უწყებები - შეზღუდულია.

პარლამენტის წევრის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმები⁷

- შეუძლია, კითხვით მიმართოს შსს-ს, თავდაცვის სამინისტროს, სუსს-ს. ყველა უწყება ვალდებულია, 15 დღეში (ვადა კითხვის ავტორთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს 10 დღით) სრულად უპასუხოს კითხვას.
- შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადაყენებაში.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმები

- კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობას შეუძლია, წერილობით მოითხოვოს სუსს-ის უფროსის კომიტეტის სხდომაზე დასწრება. ამ შემთხვევაში სუსს-ის უფროსის კომიტეტის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.⁸
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს კომიტეტის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.⁹
- წელიწადში ერთხელ ეცნობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ წარმოდგენილ განხორციელებული და მიმდინარე არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ ანგარიშებს.¹⁰

⁶ იქვე.

⁷ იქვე. მუხლი 148

⁸ მუხლი 40, პუნქტი 3

⁹ იქვე. მუხლი 40, პუნქტი 2

¹⁰ იქვე. მუხლი 159, პუნქტი 6

- ეცნობა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მთავრობის და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მიღებულ პოლიტიკის პრიორიტეტების და სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტებს მათი მიღებიდან 2 კვირის ვადაში.¹¹
- ზედამხედველობას უწევს სუს-ის საქმიანობის შეფასების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრას, საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების და წინადადებების შესრულებას.¹²
- ამზადებს დასკვნას სუსი-ს უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ სუს-ის უფროსის მიერ საკუთარი მოვალეობის ზედიზედ 2 თვის განმავლობაში შეუსრულებლობის ან თანამდებობასთან შეუთავსებელი სხვა თანამდებობის დაკავების თუ შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ სუს-ის უფროსის უფლებამოსილების შეჩერების და პარლამენტისთვის ამ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში.¹³
- შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფი კომპეტენტური სპეციალისტების ჩართულობით.¹⁴
- შეუძლია შექმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დარგის კომპეტენტური სპეციალისტებისგან.¹⁵

ნდობის ჯგუფის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმები

ნდობის ჯგუფი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საიდუმლო საქმიანობასა და სპეციალურ პროგრამებს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებთან.¹⁶

ნდობის ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ნდობის ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით.¹⁷

ნდობის ჯგუფის სხდომას იწვევს თავმჯდომარე. ნდობის ჯგუფის სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ნდობის ჯგუფის ნებისმიერი წევრის წინადადებით, თუ სხდომის გამართვას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა.¹⁸

- ნდობის ჯგუფის გადაწყვეტილებით, მოწვევის შემთხვევაში, მის სხდომას შეიძლება დაესწრონ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან მოწვეული პირები.

¹¹ იქვე. პუნქტი 7

¹² იქვე. მუხლი 171

¹³ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10

¹⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 46

¹⁵ იქვე. მუხლი 47

¹⁶ იქვე. მუხლი 159

¹⁷ იქვე. მუხლი 158, პუნქტი 1

¹⁸ იქვე. პუნქტი 2

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები:¹⁹

- ვალდებულები არიან, ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინონ მას უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- წელიწადში არანაკლებ ერთხელ წარუდგენენ ინფორმაციას განხორციელებული და მიმდინარე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
- წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო წარუდგენს გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.
- უფლებამოსილები არიან, ხოლო ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულები არიან, დაესწრონ ნდობის ჯგუფის სხდომებს, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინონ შესაბამისი მასალები და გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ნდობის ჯგუფის წევრი/წევრები უფლებამოსილია/უფლებამოსილები არიან, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარის თანხმობით, ნდობის ჯგუფის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელოს/განახორციელონ ვიზიტები შესაბამის უწყებებში.

ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმების შესახებ და შეამოწმოს იგი წელიწადში არაუმეტეს ორჯერ. ამ სააგენტოს საქმიანობის შემოწმების მიზნით ნდობის ჯგუფის წევრს/წევრებს შეარჩევს ნდობის ჯგუფი რეგლამენტით დადგენილი წესით.

ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს წარუდგინოს რეკომენდაციები.

საპარლამენტო ფრაქციის ხელთ არსებული ზედამხედველობის მექანიზმები

- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ან/და მათი მოადგილეები დასწრების სავალდებულო წესით დაიბაროს კომიტეტის სხდომაზე, თუ ფრაქციას ჰყავს კომიტეტში წევრი.²⁰
- დაინიციროს დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის შესახებ პარლამენტის დადგენილების პროექტი.²¹
- დაინიციროს დროებითი კომისიის შექმნის საკითხი.²²

¹⁹ იქვე, მუხლი 159

²⁰ იქვე, მუხლი 40, პუნქტი 2

²¹ იქვე, მუხლი 62

²² იქვე, მუხლი 72

- ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს.²³
- მოითხოვოს პლენარულ სხდომაზე უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების მოწვევა.²⁴

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის სხვა მექანიზმები

- პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს.²⁵
- პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვს დაინიციროს დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნა.²⁶
- პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის გადაწყვეტილებით პლენარულ სხდომაზე მოიწვიოს უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები.²⁷
- სუს-ის უფროსის ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს შეუძლია მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დაყენება პლენარული სხდომის კენჭისყრაზე. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.²⁸
- თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

3. უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის მოდელების მიმოხილვა

წარმომადგენლობით დემოკრატიაში საპარლამენტო ზედამხედველობა ძალაუფლების კონტროლის და დაბალანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია,²⁹ რადგან ამ ტიპის დემოკრატიაში პარლამენტის წევრები გამოხატავენ ხალხის ნებას, მათ შორის

²³ იქვე. მუხლი 149, პუნქტი 1

²⁴ იქვე. მუხლი 156

²⁵ იქვე. 149

²⁶ იქვე. მუხლი 62, პუნქტი 1

²⁷ იქვე. მუხლი 156

²⁸ იქვე. მუხლი 183

²⁹ უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე საპარლამენტო ზედამხედველობა, გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული, გვ.5

ადმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობითაც.³⁰ ამიტომაც, ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მუდმივ ზეწოლას უნდა გრძნობდნენ პარლამენტის მხრიდან, რაც გულისხმობს მათი საქმიანობის კონტროლს კანონიერების, ადამიანის უფლებების დაცვით მოქმედების და ხალხის ნებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.³¹ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპარლამენტო ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორზე, რომელიც თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე უპირისპირდება სამოქალაქო თავისუფლებებს³² და აქვს მიდრეკილება, ჩამოყალიბდეს „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“.³³

უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობის საჭიროება დადასტურებულია როგორც ე.წ. „ძველ დემოკრატიებში“, სადაც სხვადასხვა დროს გამოვლინდა ადამიანის უფლებების შემლახავი მოქმედებები უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების მხრიდან,³⁴ ასევე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებმაც გაიარეს ავტოკრატიული რეჟიმიდან დემოკრატიული ტრანზიციის პროცესი,³⁵ იქნებოდა ეს ფრანკოს ესპანეთი, სამხრეთ აფრიკის აპართეიდული რეჟიმი თუ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური მმართველობის ქვეყნები.³⁶ ამ ქვეყნებში უსაფრთხოების სექტორის საქმიანობა მოკლებული იყო დემოკრატიულ ზედამხედველობას და გამჭვირვალობას. შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი ინსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბება უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისთვის, მათ შორის საპარლამენტო ზედამხედველობის დასაწესებად.³⁷ უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის საჭიროება კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური 11 სექტემბრის (9/11) ტერორისტული თავდასხმის შემდეგ,³⁸ როდესაც საერთაშორისო ტერორისტული ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა გლობალური მასშტაბით გაიშალა. ამ ვითარებამ უსაფრთხოების სამსახურები ტერორიზმთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების ამოცანების შესასრულებლად ადამიანის უფლებების შელახვით მოქმედების ცდუნების წინაშე დააყენა.³⁹

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხის რამდენჯერმე აქტუალიზაციამ მთელ რიგ ქვეყნებში შექმნა გარკვეული გამოცდილება, რასაც ემყარება

³⁰ ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მომზადებული კვლევითი ანგარიში, გვ.13

³¹ უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF). გვ.3

³² იქვე, გვ.7

³³ REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, European commission for democracy through law (Venice Commission), p.4

³⁴ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, p. 84

³⁵ PARLIAMENTARY OVERSIGHT OF MILITARY INTELLIGENCE About DCAF; p. 14

³⁶ DEMOCRATIC AND PARLIAMENTARY ACCOUNTABILITY OF INTELLIGENCE SERVICES AFTER SEPTEMBER 11TH, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF), p.1

³⁷ Almanac on Security Sector Oversight in the Western Balkans, p. 8-12.

³⁸ DEMOCRATIC AND PARLIAMENTARY ACCOUNTABILITY OF INTELLIGENCE SERVICES AFTER SEPTEMBER 11TH, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF), p. 13-16

³⁹ REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, European commission for democracy through law (Venice Commission), p.4

ხოლმე ამჟამად დემოკრატიული ტრანზიციის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს კანონიერების, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, მონაწილეობის და მოქალაქეებისადმი პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე.⁴⁰

საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებების განსასაზღვრად უნდა გამოიყოს პარლამენტის საქმიანობის 5 კომპონენტი: 1. საკანონმდებლო მუშაობა - პარლამენტი განსაზღვრავს უსაფრთხოების ორგანოების მოქმედების ჩარჩოს, მანდატს და უფლებამოსილებებს; 2. ბიუჯეტირება - უსაფრთხოების სექტორისთვის ფინანსების გამოყოფაში მონაწილეობა; 3. უშუალო ზედამხედველობა - მიმდინარე საქმიანობის კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა; 4. არჩევის უფლებამოსილება - უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე თანხმობის მიცემა ან მათი უარყოფა, მათ შორის, უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობაზე განწესებაზე ამ სექტორში; 5. წარმომადგენლობა - ღია, საჯარო პოლიტიკური ფორუმის შექმნა უსაფრთხოების საკითხებზე სამსჯელოდ.⁴¹

3.1. საპარლამენტო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მოდელები განსხვავდება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის, პრობლემების და ამოცანების შესაბამისად.⁴² ამიტომაც არ გამოყოფენ ერთ უნივერსალურ საზედამხედველო მოდელს, როგორც სანიმუშო პრაქტიკას.

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობა სახელმწიფოებში ხორციელდება როგორც უშუალოდ საპარლამენტო კომიტეტების მიერ, ასევე დამოუკიდებელი არასაპარლამენტო ორგანოების მხრიდან, რომლებიც ძირითადად დარგის სპეციალისტებისგანაა დაკომპლექტებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.⁴³ ორივე მიდგომას აქვს თავისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. უშუალო საკომიტეტო ზედამხედველობის შემთხვევაში უსაფრთხოების ორგანოებს მეტი ლეგიტიმაცია აქვთ,⁴⁴ რადგან ზედამხედველობის პროცესში პარლამენტის წევრების მონაწილეობა პროცესის ლეგიტიმურობას ზრდის. ეს ხანგრძლივი, ინტენსიური საქმიანი კომუნიკაცია, უსაფრთხოების ორგანოებსა და დეპუტატებს შორის, უსაფრთხოების სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის გამყარებასაც ემსახურება.⁴⁵ თუმცა საკომიტეტო ზედამხედველობას აქვს თავისი ნაკლოვანებებიც. პარლამენტის წევრის საქმიანობა, როგორც წესი, საკმაოდ

⁴⁰ უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე საპარლამენტო ზედამხედველობა, გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული, გვ. 6

⁴¹ Parliaments Roles and responsibilities in good security sector governance, p.2

⁴² Parliamentary oversight of the security sector, An OPPD publication on topical parliamentary affairs; p.14.

⁴³ REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, European commission for democracy through law (Venice Commission), p.16

⁴⁴ Parliamentary oversight of the security sector: Principles, mechanisms and practices, p.108

⁴⁵ ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა, კვლევითი ანგარიში, გვ.67

დატვირთულია. დეკუტატებს ხშირად არა აქვთ საკმარისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი უსაფრთხოების სექტორზე მუდმივი ზედამხედველობისთვის,⁴⁶ როგორც შეიძლება ჰქონდეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ დამოუკიდებელ არასაპარლამენტო ორგანოს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს კვალიფიკაციის და დაინტერესების საკითხიც. ბევრ ქვეყანაში უსაფრთხოების თემატიკა არ წარმოადგენს ელექტორალურად საინტერესო საკითხს და პოლიტიკოსების მხრიდან ამ თემაზე მუშაობის ინტერესი და შესაბამისად, გამოცდილებაც დაბალია.⁴⁷ გარდა ამისა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლებაც და საპარლამენტო უმრავლესობაც ერთი და იმავე პარტიის წევრებისგან არის დაკომპლექტებული, ხშირად პოლიტიკური ზედამხედველობის კომპონენტი შეიძლება შესუსტდეს.⁴⁸

დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისას შეზღუდულები არ არიან საპარლამენტო მანდატის ვადით. ზოგიერთი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო (მაგალითად, ომბუდსმენის ოფისი), უსაფრთხოების სექტორში ადამიანის უფლებების დაცვას მეთვალყურეობს, ცალკეულ შემთხვევებში განიხილავს საჩივრებს უსაფრთხოების ორგანოების საქმიანობის შესახებ. თუმცა, საზედამხედველო ორგანოები ძირითადად დაკომპლექტებულია უსაფრთხოების სექტორის ყოფილი თანამშრომლებისგან, ასევე, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისგან, რომელთა ექსპერტული ცოდნა შესაძლებლობას იძლევა, უსაფრთხოების სექტორის საქმიანობა შეფასდეს არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არამედ უფრო სიღრმისეულად (საქმიანობის შინაარსი და კანონთან შესაბამისობა).⁴⁹ ექსპერტებისგან დაკომპლექტებულ ამ ორგანოებს საპარლამენტო კომიტეტებთან შედარებით ნაკლები წევრი ჰყავს. ასეთი არასაპარლამენტო ორგანოები 3 წევრისგან შედგება **ბელგიასა და პორტუგალიაში**.⁵⁰ **შვედეთსა და ნორვეგიაში** მოქმედებს შერეული მოდელი, სადაც საპარლამენტო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს წევრები არიან როგორც დეკუტატები, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები.⁵¹ ზოგ ქვეყანაში კი მოქმედებს ზედამხედველობის ორივე მოდელი, როგორც საპარლამენტო კომიტეტის, ასევე დამოუკიდებელი არასაპარლამენტო ორგანოს მიერ.⁵² დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები ინსტიტუციურად დამოუკიდებელია, ესე იგი, უშუალოდ პარლამენტის სტრუქტურაში არ შედიან, მაგრამ პარლამენტი მათი მეშვეობით ახორციელებს ზედამხედველობის ფუნქციას და ამიტომაც აქვს, მაგალითად, პორტუგალიასა და ბელგიაში ამ ორგანოს კონტროლის მექანიზმებიც. როგორც წესი, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები პარლამენტს წარუდგენენ საქმიანობის ანგარიშს, ზოგჯერ პარლამენტის

⁴⁶ Oversight and Guidance: Parliaments and Security Sector Governance, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF); p. 82-83

⁴⁷ OVERSIGHT AND GUIDANCE: THE RELEVANCE OF PARLIAMENTARY OVERSIGHT FOR THE SECURITY SECTOR AND ITS REFORM, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF), p.41

⁴⁸ Almanac on Security Sector Oversight in the Western Balkans, p. 227

⁴⁹ Towards Effective Democratic Oversight of Intelligence Services: Lessons Learned from Comparing National Practices, p. 11

⁵⁰ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, p. 97

⁵¹ იქვე

⁵² REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES, European commission for democracy through law (Venice Commission), p.38

დავალებით ატარებენ კვლევებს უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემებზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ ორგანოების წევრ ექსპერტებსაც პარლამენტი არჩევს ბელგიაში, პორტუგალიასა და გერმანიაში.⁵³

რაც შეეხება საკომიტეტო ზედამხედველობას, ძირითადად ერთი კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას უსაფრთხოების სექტორის ყველა ორგანოზე, ზოგჯერ კი, მაგალითად, რუმინეთსა და სლოვაკეთში, თითოეული ორგანოს საზედამხედველოდ ცალკე საპარლამენტო კომიტეტია შექმნილი.⁵⁴ ამ შემთხვევაშიც მნელია განსაზღვრა, ზედამხედველობის რომელი მოდელია უმჯობესი. განსხვავებულმა საპარლამენტო პრაქტიკამ შეიძლება განსხვავებული შედეგი მოგვცეს. თეორიულად უსაფრთხოების ყველა ორგანოს ერთი საზედამხედველო კომიტეტის ფარგლებში მოქცევა შესაძლებლობას იძლევა, საპარლამენტო მუშაობა კოორდინირებულად წარიმართოს უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტები განიხილება. განცალკევებული კომიტეტების ფორმატში ზედამხედველობის უპირატესობა კი ისაა, რომ პარლამენტის წევრებს შესაძლებლობა აქვთ, მხოლოდ ერთი ორგანოს სპეციფიკაზე კონცენტრირდნენ და შესაბამისი კომიტეტის წევრებს, შედარებით ნაკლები დროც დასჭირდებათ მათ ზედამხედველობაში მოქცეული მხოლოდ ერთი ორგანოს სამეთვალყურეოდ, ვიდრე მთლიანად უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის შემთხვევაში. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, ბულგარეთი)⁵⁵ საპარლამენტო ქვეკომიტეტებს ენიჭებათ უსაფრთხოების სექტორის ცალკეულ ორგანოზე ზედამხედველობის მანდატი.

როგორც წესი, კომიტეტებში წევრთა რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის პროპორციულად ნაწილდება (მაგალითად, ბულგარეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი), მაგრამ ამასთან ერთად გხვდება მოდელები, როდესაც ყოველ საპარლამენტო პარტიას 1 წევრის ყოლის უფლება აქვს (დანია, ლატვია), ან საპარლამენტო უმრავლესობას და ოპოზიციას თანაბარი რაოდენობის წევრები ჰყავთ (იტალია).⁵⁶ კომიტეტში წევრების რაოდენობაზე პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების რაოდენობაც ახდენს გავლენას. ევროპის ქვეყნებში ყველაზე ხშირად კომიტეტის წევრთა რაოდენობა 10-დან 15-მდეა.⁵⁷ რაც შეეხება კომიტეტის თავმჯდომარეობას, ძირითადად ეს თანამდებობა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს უკავია, თუმცა არსებობს განსხვავებული მოწესრიგებაც, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციონერია (სლოვენია, სლოვაკეთი, იტალია), ან გერმანული ვარიანტი, სადაც კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი შესაბამისი მოწვევის პარლამენტში მონაცვლეობით (ერთწლიანი ვადით) უჭირავთ საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლებს.⁵⁸

კომიტეტმა ზედამხედველობისთვის შესაძლოა შეარჩიოს პროაქტიული (რეგულარული შეხვედრები, ინფორმაციის ხშირი გამოთხოვა და ვიზიტები), ასევე რეაქციული (მედიით

⁵³ PARLIAMENTARY OVERSIGHT OF MILITARY INTELLIGENCE About DCAF; p. 50-52

⁵⁴ Parliamentary oversight of the security sector, An OPPD publication on topical parliamentary affairs; p.28

⁵⁵ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS; p.115

⁵⁶ იქვე, გვ. 93

⁵⁷ იქვე, გვ. 96

⁵⁸ იქვე, გვ.93

გავრცელებული ინფორმაციის, კომიტეტში შემოსული განცხადებების თუ საჩივრების საფუძველზე მოსმენების ჩატარება, გამოძიების ან ფინანსური აუდიტის ჩატარების საკითხის დაყენება) მოქმედების სტრატეგია.⁵⁹ პროაქტიული სტრატეგია კომიტეტს უფრო მეტ შესაძლებლობას ანიჭებს სიღრმისეულად და ინტენსიურად დააკვირდეს უსაფრთხოების სექტორის მუშაობას.

3.2. საპარლამენტო ზედამხედველობის წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები

საპარლამენტო კომიტეტის მხრიდან უსაფრთხოების სექტორზე შედეგიანი ზედამხედველობისთვის საჭიროა რამდენიმე წინაპირობის არსებობა:

ა) საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კომიტეტს რეალური უფლებამოსილებებით და ზედამხედველობის ინსტრუმენტებით აღჭურავს. საპარლამენტო კომიტეტების საზედამხედველო უფლებამოსილებების ლეგიტიმურობისთვის ეს ფუნქცია კონსტიტუციით უნდა იყოს განსაზღვრული, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება კი დეტალურად იყოს გაწერილი კანონმდებლობით. მაგალითად, ასეთ სამართლებრივი ბაზას ემყარება გერმანიაში საპარლამენტო ზედამხედველობა.⁶⁰

ბ) კვალიფიციური საკადრო რესურსის მობილიზება კომიტეტის აპარატში, რომლებიც შეავსებენ პარლამენტის წევრების ცოდნას უსაფრთხოების სექტორის სპეციფიკაზე და დაეხმარებიან მათ. კვალიფიციური კადრების არარსებობა კომიტეტის აპარატში ხშირად ქმნის პრობლემას, რადგან უსაფრთხოების სექტორი საკმაოდ სპეციფიკურია. კარგ შემთხვევაში შესაძლებელია, აპარატში დასაქმდნენ უსაფრთხოების სექტორში მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანები, რომლებიც კომიტეტის წევრებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან უსაფრთხოების სექტორის ორგანოების მუშაობის მიმართულებებზე.⁶¹

გ) დამოუკიდებელ კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნის ზედამხედველობის პროცესში გამოყენების საკითხი. პარლამენტის კომიტეტმა უნდა გამოიყენოს დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციები, რომლის წევრებიც მუშაობდნენ უსაფრთხოების სექტორში ან/და აკადემიურად იკვლევენ უსაფრთხოების პოლიტიკას და უსაფრთხოების ორგანოების მუშაობის პრაქტიკას.⁶²

დ) ზედამხედველობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, მათ შორის, ზედამხედველობის საქმიანობის საჯარო ანგარიშების წარმოდგენის პრაქტიკის დამკვიდრების გზით. კომიტეტის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა პროცესში, მათთან ხშირი საქმიანი კომუნიკაცია ზედამხედველობის პროცესის მიმართ ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის გაზრდას და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის (მაგალითად,

⁵⁹ უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF). გვ.23

⁶⁰ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS; p.218

⁶¹ იქვე, გვ.100

⁶² Parliamentary oversight of the security sector: Principles, mechanisms and practices, p.35

ქალების) ინტერესების და საჭიროებების უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაში გათვალისწინებას.⁶³

ე) აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის პოლიტიკური ნება. ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს უკანასკნელი კომპონენტია. პოლიტიკური ნების არარსებობის შემთხვევაში ვერანაირი მექანიზმი ვერ იქნება ეფექტიანი საპარლამენტო ზედამხედველობის გარანტი.⁶⁴

შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, უსაფრთხოების სექტორს ზედამხედველობა გაუწიოს რამდენიმე მიმართულებით. მათგან უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების სექტორის ფინანსური ზედამხედველობა, რომელშიც თავისი მანდატის ფარგლებში სხვადასხვა (ფინანსთა, თავდაცვის და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა) კომიტეტები იღებენ მონაწილეობას.⁶⁵ ბიუჯეტების ეტაპზე უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს ოთხი ფორმით:⁶⁶ ა) ბიუჯეტის დადასტურება - პარლამენტს არ შეუძლია, შეასწოროს ან უარყოს წარმოდგენილი ბიუჯეტი, ბიუჯეტის შემუშავებაში მისი როლი ფორმალურია (სამხრეთ კორეა);⁶⁷ ბ) დამტკიცება ან უარყოფა - პარლამენტი შეიძლება დაეთანხმოს ან უარყოს და უკან დააბრუნოს წარმოდგენილი ბიუჯეტი (ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა);⁶⁸ გ) შეცვლა - პარლამენტს შეუძლია, ცვლილებები შეიტანოს წარმოდგენილ ბიუჯეტის ცალკეულ ნაწილებში (საფრანგეთი);⁶⁹ დ) შედგენა - პარლამენტს შეუძლია, წარმოდგენილი ბიუჯეტის შესახებ ალტერნატიული წინადადებები ან სრულიად ახალი ბიუჯეტი შეიმუშაოს (აშშ).⁷⁰

ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის მიზნებისთვის მიღებული პრაქტიკაა, უსაფრთხოების ორგანოების მიერ პარლამენტისთვის პერიოდული ანგარიშის წარდგენა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია დანიის შემთხვევა, სადაც პარლამენტს არა მხოლოდ ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს წარუდგენენ, არამედ პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში - დამატებით ფინანსურ ანგარიშებსაც. საზედამხედველო კომიტეტს ასევე შეუძლია ბიუჯეტის შესრულების საკითხზე საკომიტეტო მოსმენაზე დაიბაროს უსაფრთხოების სექტორის უწყებების ხელმძღვანელები.⁷¹

⁶³ Oversight and Guidance: Parliaments and Security Sector Governance, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF); p.55

⁶⁴ OVERSIGHT AND GUIDANCE: THE RELEVANCE OF PARLIAMENTARY OVERSIGHT FOR THE SECURITY SECTOR AND ITS REFORM, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF), p.44

⁶⁵ Oversight and Guidance: Parliaments and Security Sector Governance, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF); p.70

⁶⁶ Parliaments Roles and responsibilities in good security sector governance, p.5

⁶⁷ Towards Effective Democratic Oversight of Intelligence Services: Lessons Learned from Comparing National Practices, p.7

⁶⁸ Parliamentary oversight of the security sector, An OPPD publication on topical parliamentary affairs; p.27

⁶⁹ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS; p.214-215

⁷⁰ Parliamentary oversight of the security sector, An OPPD publication on topical parliamentary affairs; p.28

⁷¹ REPORT ON THE DEMOCRATIC OVERSIGHT OF THE SECURITY SERVICES; p.44

ადამიანის უფლებების დარღვევით მოქმედებაც ხშირად ტოვებს ფინანსურ კვალს, ამიტომაც უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტის ხარჯვის შესწავლით შესაძლებელია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიც დაინტერესდეს თავისი მანდატის ფარგლებში.⁷²

საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში სულ უფრო და უფრო დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების ბიუჯეტის გენდერულ ანალიზსაც, რაც გულისხმობს შრომის თანაბარი ანაზღაურების, კარიერულ წინსვლაში თანასწორი შესაძლებლობების გათვალისწინებას.⁷³

ბიუჯეტის დამტკიცების და მონიტორინგის მსგავსად, განსხვავებებია საპარლამენტო ზედამხედველობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების - საიდუმლო ინფორმაციაზე პარლამენტის წევრების დაშვების საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას სხვადასხვა ქვეყანაში. საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომა პარლამენტის წევრისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, დეტალურად გაეცნოს უსაფრთხოების სექტორის საქმიანობას. ზემოთ ნახსენები ეფექტიანი საბიუჯეტო ზედამხედველობა დიდწილად დამოკიდებულია სწორედ სათანადო ინფორმაციასთან (ფინანსურ დოკუმენტაციასთან) წვდომაზე.⁷⁴

საიდუმლო ინფორმაციასთან პარლამენტის წევრების წვდომის კუთხით ევროპის სახელმწიფოებში მიდგომები ვარიირებს ყველა სახის ინფორმაციის სრულად შეზღუდვიდან (ირლანდია),⁷⁵ ოთხივე კატეგორიის საიდუმლოებაზე პარლამენტის ყველა წევრის დაშვებამდე (ბულგარეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, გერმანია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი).⁷⁶ თუმცა გავრცელებული მიდგომაა (ავსტრია, უნგრეთი, დანია, ფინეთი, იტალია), რომ უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველი კომიტეტის წევრებს ჰქონდეთ უფრო მაღალი დონის დაშვება საიდუმლო ინფორმაციაზე, ვიდრე პარლამენტის სხვა წევრებს.⁷⁷ ესპანეთსა და ნიდერლანდში საიდუმლო ინფორმაციასთან შედარებით მაღალი დონის დაშვება გათვალისწინებულია საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებისთვის, ხოლო საფრანგეთში - უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარისთვის.⁷⁸ რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების უფლების მოპოვების გზებს, ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ესტონეთი) პარლამენტის წევრებს ვერიფიკაციის გარეშე ეძლევათ წვდომა მათი მანდატის შესაბამის საიდუმლო ინფორმაციაზე, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში - სპეციალური შემოწმების შემდეგ (ნორვეგია, სერბეთი, მაკედონია, ლატვია).⁷⁹ ცხადია, გარკვეულ საიდუმლო ინფორმაციაზე

⁷² ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა, კვლევითი ანგარიში, გვ. 83

⁷³ გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული - უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე საპარლამენტო ზედამხედველობა, გვ. 34

⁷⁴ Oversight and Guidance: Parliaments and Security Sector Governance, GENEVA CENTRE FOR THE DEMOCRATIC CONTROL OF ARMED FORCES (DCAF) NATO PARLIAMENTARY ASSEMBLY; p.78

⁷⁵ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS; p. 119

⁷⁶ იქვე

⁷⁷ იქვე

⁷⁸ იქვე

⁷⁹ უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF). გვ.32

წვდომა არ გულისხმობს იმას, რომ ზედამხედველ ორგანოებს ყოველთვის და თანაც ულიმიტო წვდომა აქვთ ამ ინფორმაციასთან. ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მანდატის ფარგლებში და საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე.⁸⁰ პარლამენტის წევრების შემოწმების პროცედურა საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის მიღებამდე, გარდა ინფორმაციის დაცვის პრაქტიკული მიზნისა, ზედამხედველ ორგანოსა და უსაფრთხოების სექტორს შორის ნდობის დამყარებასაც უწყობს ხელს, რაც განსაკუთრებით საჭიროა ე.წ. „ახალგაზრდა დემოკრატიებში“, სადაც უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლები ცდილობენ, თავი აარიდონ ამ სახის ინფორმაციის გაზიარებას.⁸¹

უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო ზედამხედველობის საერთაშორისო მოდელების მიმოხილვა აჩვენებს, რომ პარლამენტის საქმიანობის მიმართულებებს შორის ეს ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომპლექსურია. უსაფრთხოების სექტორის სამუშაო სპეციფიკის თავისებურებებში გარკვევის სირთულე, უსაფრთხოების ორგანოების შიდა იერარქიულობა, დისციპლინიზებულიობა და ადამიანის უფლებებთან ხშირი კოლიზია, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის ხანმოკლე პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში, ზოგჯერ პოლიტიკური ნების არარსებობაც მათ გასაკონტროლებლად, აბრკოლებს პარლამენტის მიერ უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, პარლამენტის მიერ ინკლუზიური პროცესის ორგანიზებით, სადაც მონაწილეობას იღებენ ოპოზიციური პარტიები, აკადემიური წრის წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოებაც, უსაფრთხოების სექტორსა და საზოგადოებას შორის ნდობის დამყარება მარტივდება. უსაფრთხოების სექტორის საქმიანობის კანონიერების დადგენასთან ერთად სწორედ ასეთი ნდობის დამყარებაში უნდა დავინახოთ საპარლამენტო ზედამხედველობის როლი და აუცილებლობაც.

4. უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის პრაქტიკული ხარვეზები

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების შემუშავების პარალელურად აუცილებელია პრაქტიკაში მათი აქტიურად გამოყენება. პარლამენტის წევრებთან ინტერვიუების დროს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, ისევე, როგორც უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების ზერელე და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება საპარლამენტო კონტროლის არსებული მექანიზმების მიმართ, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების სექტორზე ეფექტიან საპარლამენტო კონტროლს.

⁸⁰ ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების დემოკრატიული და ეფექტური ზედამხედველობა, კვლევითი ანგარიში, გვ.117

⁸¹ Parliamentary oversight of the security sector, An OPPD publication on topical parliamentary affairs; p. 74

4.1. ნდობის ჯგუფის საქმიანობის შეფასება - საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები

2018 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა ნდობის ჯგუფის შესახებ კანონი და ნდობის ჯგუფთან დაკავშირებული დებულებები საქართველოს პარლამენტის ახალ რეგლამენტში გადავიდა. ცვლილების მიზანს წარმოადგენდა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება, თუმცა, ნდობის ჯგუფის გაზრდილი უფლებამოსილება პრაქტიკაში რეალურად არ ასახულა.

4.1.1 საკანონმდებლო ხარვეზები

უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საქმიანობა საიდუმლოების მაღალი ბუნებით ხასიათდება. ერთადერთი ორგანო, რომელსაც უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების კონტროლის უფლებამოსილება აქვს, ნდობის ჯგუფია. თუმცა ეს მანდატიც ლიმიტირებულია, რადგან ნდობის ჯგუფის წევრებს ხელი არ მიუწვდებათ ყველა კატეგორიის საიდუმლო ინფორმაციაზე. მაგალითად, ნდობის ჯგუფის წევრებს არ აქვთ შესაძლებლობა, ზედამხედველობა გაუწიონ ანგარიშვალდებული უწყებების ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის ფარულ ფორმებთან და მეთოდებთან.⁸²

ერთი შეხედვით, პარლამენტის რეგლამენტის ნდობის ჯგუფს აღჭურავს საკმაო უფლებამოსილებებით უსაფრთხოების სექტორზე სათანადო ზედამხედველობის განსახორციელებლად, თუმცა, კონტროლის მექანიზმები არასრულყოფილია და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს ანგარიშვალდებულებისთვის თავის ასარიდებლად მანევრირების ფართო შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, ნდობის ჯგუფის წინაშე ანგარიშვალდებულ უწყებებს უფლება აქვთ, ნდობის ჯგუფს უარი უთხრან ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდებაზე, ეროვნული/საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მოტივით,⁸³ რაც უნდა დასაბუთდეს.⁸⁴ თუმცა, რეგლამენტი არ შეიცავს მითითებას, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ნდობის ჯგუფის წევრი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი არ არის საფუძვლიანი და სათანადოდ დასაბუთებული. რეგლამენტის ეს ჩანაწერი უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს - მათ შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ, რომელი ინფორმაცია მიაწოდონ ნდობის ჯგუფს.

რეგლამენტის მიხედვით, ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, განახორციელოს შესაბამისი ვიზიტები უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში. ვიზიტის ფარგლებში ნდობის ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, გაესაუბროს უწყების თანამშრომლებს და გაეცნოს ნდობის ჯგუფის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.⁸⁵

⁸² იქვე. მუხლი 159, პუნქტი 1

⁸³ იქვე. პუნქტი 3

⁸⁴ იქვე. პუნქტი 4

⁸⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 159, პუნქტი 11

თუმცა შემოწმების ეფექტიანობას ამცირებს ის, რომ კანონმდებლობის მიხედვით, ვიზიტთან დაკავშირებით წინასწარ ეცნობება შესაბამის უწყებას,⁸⁶ რაც მას შესაძლებლობას მისცემს, „სათანადოდ“ მოემზადოს. ამასთან, რეგლამენტი არ შეიცავს დეტალებს, რა მოცულობის ინფორმაციაზე დაშვებას ითვალისწინებს „შემოწმების უფლება“ და რა სახეს ატარებს ის.

თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობა ნდობის ჯგუფს არ ავალდებულებს, მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს საქმიანობის საჯარო ანგარიში, სადაც სათანადო წესით იქნება დაფარული/დაშტრიხული სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტთან შეხვედრის დროს ნდობის ჯგუფის მხრიდან ანგარიშის მომზადების აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა არაერთმა დეპუტატმა.

4.1.2 ნდობის ჯგუფის შემადგენლობა - პოლიტიკურ ძალთა დისბალანსი

რეგლამენტის მიხედვით, ნდობის ჯგუფის ხუთი წევრიდან სამი მმართველ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს.⁸⁷ ნდობის ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მმართველი პარტიის წევრების ნებაზეა დამოკიდებული. მართალია, რეგლამენტის მიხედვით ნდობის ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, მოიწვიოს ნდობის ჯგუფის სხდომა, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა.⁸⁸ იმის გათვალისწინებით, რომ ნდობის ჯგუფში უმრავლესობას საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ფლობენ, ნდობის ჯგუფის ინდივიდუალური წევრის ხელში ეს უფლებამოსილება რეალურ ბერკეტს არ წარმოადგენს.

პრობლემურია ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული ჩანაწერიც. რეგლამენტის მიხედვით, ნდობის ჯგუფი 5 წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი არის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი, ხოლო ორი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი.⁸⁹

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა განცხადებით მიმართა პარლამენტს და მოითხოვა ჯგუფის შემადგენლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.⁹⁰ პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით⁹¹ დღეს ნდობის ჯგუფს 4 წევრი ჰყავს, საიდანაც მხოლოდ ერთია ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი.

საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი პარლამენტის წევრების განმარტებით, მმართველი პოლიტიკური ძალა სარგებლობს რეგლამენტის ჩანაწერით, რომლის სიტყვასიტყვითი

⁸⁶ იქვე

⁸⁷ იქვე. მუხლი 157, პუნქტი 2

⁸⁸ იქვე. მუხლი 158

⁸⁹ იქვე. მუხლი 157, პუნქტი 2

⁹⁰ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილი, № 20220903/315, 09/03/2022

⁹¹ 2641/2-7/22, 22/03/2022

განმარტების მიხედვითაც ნდობის ჯგუფის წევრია საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების ორი წევრი. პარლამენტში ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი ოპოზიციური ფრაქციაა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ჯგუფში წარმომადგენელი უკვე დანიშნა. პარლამენტიდან მიღებული წერილის მიხედვით⁹² თავდაპირველად, არასრული დაკომპლექტება ოპოზიციის მიერ საქართველოს X მოწვევის პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმამ განაპირობა, ამის შემდეგ კი მიზეზი წარდგენილი კანდიდატების (მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე) პარლამენტის წევრის სტატუსის შეწყვეტა გახდა.

როგორც ინტერვიუების დროს განგვიმარტეს, დღეს მმართველი პოლიტიკური ძალა უარს აცხადებს ნდობის ჯგუფში მე-5 წევრის დანიშვნაზე საპარლამენტო უმცირესობის კვოტიდან და უთითებს რეგლამენტში ცვლილების შეტანის აუცილებლობაზე. ნიშანდობლივია, რომ ამ დრომდე არ არის დარეგისტრირებული ინიციატივა რეგლამენტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი არ იზიარებს მმართველი პოლიტიკური ძალის შეხედულებას შემდეგ მიზეზთა გამო:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის გარდამავალი დებულებების მიხედვით, 2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე, პარლამენტის არანაკლებ 2 წევრს შეუძლია, შექმნას საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც აქვს ფრაქციას, გარდა საქართველოს კონსტიტუციით ფრაქციისთვის განსაზღვრული უფლებებისა.⁹³ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ფრაქციის უფლებამოსილებებია: საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და ინტერპელაციის წესით პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსთვის შეკითხვით მიმართვის უფლება.⁹⁴

ვინაიდან ნდობის ჯგუფში წევრის დანიშვნის საკითხი საქართველოს კონსტიტუციით ექსკლუზიურად ფრაქციის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის გარდამავალი დებულება პოლიტიკურ ჯგუფს აძლევს უფლებას, წარადგინოს ნდობის ჯგუფის წევრობის კანდიდატი.

4.1.3 პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები

რეგლამენტის ხარვეზიანი ბუნება გავლენას ახდენს პრაქტიკული მუშაობის ეფექტიანობაზე. ჩვენ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ ნდობის ჯგუფის წევრები სათანადოდ ვერ იყენებენ რეგლამენტით მინიჭებულ მანდატს, რასაც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ხსნიან პოლიტიკური ნების არარსებობით .

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული პასუხის

⁹² საქართველოს პარლამენტის წერილი, N 2641/2-7/22, 22-03-2022

⁹³ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 228¹, პუნქტი 1, 3

⁹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 43, პუნქტი 2, მუხლი 45, პუნქტი 1

მიხედვით „2020 წელს ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფი სრულყოფილად და გამართულად ვერ ფუნქციონირებდა“, რის გამოც ჯგუფის მხოლოდ ერთი სხდომა ჩატარდა. 2020 წელს ასევე ვერ განხორციელდა სახედამხედველო ვიზიტები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში და ვერ მოხდა სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2020 წელს, ნდობის ჯგუფი პრაქტიკულად სრულად პარალიზებული და უფუნქციო იყო.⁹⁵

განსხვავებით 2020 წლისგან, 2021 წელს გაიმართა ნდობის ჯგუფის 16 სხდომა. თუმცა, ოპოზიციის მხრიდან საპარლამენტო საქმიანობის ბოიკოტის გამო ნდობის ჯგუფს მხოლოდ 3 წევრი ჰყავდა. შესაბამისად, ნდობის ჯგუფის სხდომებს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ესწრებოდნენ - ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია და წევრები - ანრი ოხანაშვილი და ალექსანდრე ტაბატაძე. ოპოზიციური ძალის არყოფნის პირობებში შეუძლებელია ეფექტიან საპარლამენტო კონტროლზე საუბარი.

2022 წლის მარტის მდგომარეობით, ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში უკვე იყო ოთხი წევრი, მათ შორის, თეიმურაზ ჯანაშია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ წარადგინა.⁹⁶ მიუხედავად ამისა, პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სხდომათა ნაწილს მაინც მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის წევრები ესწრებოდნენ. მაგალითად, 2022 წლის 25 მაისს გამართულ სხდომას, სადაც მოწვეულები იყვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, მხოლოდ ირაკლი ბერაია, ანრი ოხანაშვილი და ალექსანდრე ტაბატაძე დაესწრნენ.

საქართველოს პარლამენტმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ, რაც ართულებს პარლამენტის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას.

ნდობის ჯგუფის ყურადღება არ დაუმსახურებია 2021 წლის სექტემბერში⁹⁷ წინასაარჩევნოდ გასაჯაროებული სავარაუდოდ უკანონოდ განხორციელებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ამსახველ მასალას, რასაც საზოგადოების დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამ საკითხზე ნდობის ჯგუფს საჯარო განცხადება არ გაუვრცელებია, მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობის მანდატი სწორედ ნდობის ჯგუფს აქვს. ფარული მოსმენის ფაილების გასაჯაროების შემდეგ (12 სექტემბერი), ნდობის ჯგუფის სხდომა 15 ოქტომბერს ჩატარდა. ამ სხდომას (და არც 2021 წელს გამართულ სხვა სხდომებს) ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ხელმძღვანელი არ ესწრებოდა.⁹⁸ დიდი ალბათობით, სხდომაზე ეს საკითხი არც განხილულა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ ინფორმაციის გამოთხოვისა, საქართველოს პარლამენტმა არ მოგვაწოდა ნდობის ჯგუფის დღის წესრიგები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 159-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, 2021 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს პარლამენტის

⁹⁵ საქართველოს პარლამენტის წერილი, 2643/2-7/22, 22-03-2022

⁹⁶ საქართველოს პარლამენტის წერილი N 2641/2-7/22, 22-03-2022

⁹⁷ <https://www.democracyresearch.org/geo/722/>

⁹⁸ საქართველოს პარლამენტის წერილი, 2643/2-7/22, 22-03-2022

ნდობის ჯგუფს თითოჯერ წარუდგინეს მოხსენება განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ. ეს თანამდებობის პირები ესწრებოდნენ ნდობის ჯგუფის სხდომებს.⁹⁹ თუმცა ძნელია კონტროლის ამ მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება, ვინაიდან 2021 წელს ნდობის ჯგუფი მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის წევრებით იყო დაკომპლექტებული; ნდობის ჯგუფის საჯარო ანგარიშის არარსებობის პირობებში კი, პარლამენტის დანარჩენი წევრებისთვის და საზოგადოებისთვის უცნობია, რა საკითხები განიხილეს სხდომებზე.

პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, 2020 და 2021 წლებში სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფს თითოჯერ წარუდგინა გაწეული საქმიანობის სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიშები. ამასთან, 2021 წელს ნდობის ჯგუფმა სააგენტო ორჯერ შეამოწმა. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატის ხასიათიდან და სხვა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე (მათ შორის, გავრცელებული ფარული ჩანაწერები, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, სააგენტოზე ზედამხედველობის სხვა მექანიზმების ფაქტობრივად არარსებობა) სააგენტოს მხოლოდ განზოგადებული და სტატისტიკური ანგარიშის განხილვა ვერ უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციის მიღებასა და, შესაბამისად, ზედამხედველობის ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმება მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიღებასა და ტექნიკური ხასიათის შემოწმებას გულისხმობს.

5. საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვებისა და მიღებული პასუხების ანალიზი

საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსთვის წერილობითი კითხვის გაგზავნა უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის ერთ-ერთი მექანიზმია. რეგლამენტის მიხედვით, კითხვის ადრესატის მიერ კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა. კითხვა უნდა იყოს წერილობითი. კითხვის შინაარსი უნდა შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ საქართველოს პარლამენტიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საქართველოს პარლამენტის წევრებმა 2020 წელს - 1, 2021 წელს - 11, 2022 წლის იანვარი-მაისის დროის პერიოდში კი - 16 წერილობითი კითხვით მიმართეს.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წელს - 8, 2021 წელს - 34, 2022 წლის იანვარი-მაისის დროის პერიოდში კი - 33 წერილობითი კითხვა გაეგზავნა.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წელს - 3, ხოლო 2021 წელს - 23, 2022 წლის იანვარი-მაისის დროის პერიოდში კი - 14 წერილობითი კითხვა გაეგზავნა.

⁹⁹ იქვე

ამ პერიოდის განმავლობაში დეპუტატებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთვის კითხვით არ მიუმართავთ.

148-ე მუხლის მიხედვით, კითხვა ბარდება პარლამენტის აპარატს, რომელიც აღრიცხავს მას და დაუყოვნებლივ აქვეყნებს პარლამენტის ვებგვერდზე. კითხვას პარლამენტის აპარატი ადრესატს გადასცემს ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 დღისა. კითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატის მიერ გადაეცემა კითხვის ავტორს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა. კითხვაზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადაცილების თაობაზე აღინიშნება მისი გამოქვეყნებისას.

5.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი ყველა კითხვა გამოქვეყნებულია. დადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლისგან განსხვავებით, 2022 წელს (5 თვის მონაცემები) წერილობითი კითხვების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია (1-დან 16-მდე). აღსანიშნავია ისიც, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა ეს მექანიზმი პირველად 2021 წელს გამოიყენეს (5 კითხვა), ხოლო 2022 წლის 5 თვის მონაცემების მიხედვით 16-დან 9 წერილობითი კითხვა მმართველ პოლიტიკურ ძალის წარმომადგენელს ეკუთვნის. თუმცა ყველა წერილობითი კითხვა მხოლოდ ერთი დეპუტატის - ვლადიმერ ჩაჩიბაიას მიერაა გაგზავნილი.

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული 5 წერილობით კითხვაზე მიღებული პასუხი, სავარაუდოდ, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოტივით. თუმცა, კითხვების შინაარსიდან გამომდინარე, გამოთხოვილი ინფორმაცია სავარაუდოდ არ არის საიდუმლო ხასიათისა. აღსანიშნავია, რომ აქედან 4 კითხვა „ქართული ოცნების“ დეპუტატის მიერაა გაგზავნილი. გარე ზედამხედველობის გაძლიერებისა და უწყების საქმიანობასთან დაკავშირებით მეტი სანდოობისთვის აუცილებელია, საჯაროდ გამოქვეყნდეს ის პასუხები, რომლებიც არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კონფიდენციალურია, უნდა მიეთითოს, რომ კონფიდენციალურობის დაცვის მოტივით, დეპუტატს პასუხი გაეგზავნა პირადად.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რასაც, შესაძლოა, ჰქონდეს კონფიდენციალური ხასიათი.¹⁰⁰

მანკიერ პრაქტიკას წარმოადგენს სუს-ის მხრიდან გაცემულ პასუხზე წვდომის შესაძლებლობის შეზღუდვა კონფიდენციალურობის მოტივით. გაგზავნილი კითხვების შინაარსი ცხადყოფს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ იქნება საიდუმლო ხასიათისა. ჩნდება ეჭვი, რომ სამსახური ინფორმაციის თითქოსდა კონფიდენციალურობას გარე კონტროლის მექანიზმის შესასუსტებლად იყენებს.

მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული პასუხი შემდეგ კითხვებზე:

¹⁰⁰ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, ქვეპუნქტი დ)

- „მიმდინარე წელს დღეის მდგომარეობით ჩვენს რამდენ მოქალაქეს აქვს უკანონო პატიმრობა მისჯილი ოკუპირებულ რეგიონებში?“¹⁰¹ - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, ამ კითხვაზე პასუხი არ შეიძლება წარმოადგენდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას.
- „მიმდინარე წელს დღეის მდგომარეობით ჩვენს რამდენ მოქალაქეს აქვს უკანონო პატიმრობა მისჯილი ოკუპირებულ რეგიონებში? რა ვითარებაა უსაფრთხოების კუთხით ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში?“¹⁰² რა ღონისძიებები გატარდა 2020 წელს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით?¹⁰³ რა ეტაპზეა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესი?¹⁰⁴ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, ზოგადი ინფორმაცია, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარებისა და 2020 წელს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, უნდა იყოს გამოქვეყნებული პარლამენტის ვებგვერდზე. ინფორმაცია, რა ეტაპზეა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესი, ასევე არ შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლო ინფორმაციას.

მიზანშეწონილია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არა აქვს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება, სუს-მა ამის შესახებ გაცემულ პასუხში შესაბამისი დათქმა გააკეთოს, რომელიც ასევე გამოქვეყნდება საჯაროდ.

5.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წევრებმა თავდაცვის სამინისტროს სულ 40 კითხვით მიმართეს. 2020 წელს გაიგზავნა მხოლოდ 3 კითხვა, 2021 წელს - 23, ხოლო 2022 წლის იანვარი-მაისის პერიოდში - 14 წერილობით კითხვა. 2020-2021 წლებში გაგზავნილი 6 წერილობითი კითხვა უპასუხოდ არის დარჩენილი. აქედან ოთხ შემთხვევაში კითხვის ავტორები არიან საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები: კობა ნაყოფია, ირაკლი აბესაძე, თამარ კორძია და რომან გოცირიძე. უპასუხოდ დარჩა საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ალექსანდრე ტაბატაძის ორი კითხვაც. 2022 წელს გაგზავნილ ყველა კითხვაზე პასუხი მიღებულია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საჯაროდ ქვეყნდება როგორც პარლამენტის წევრის კითხვა, ასევე შესაბამისი უწყებისგან მიღებული პასუხი,

¹⁰¹ საქართველოს პარლამენტის წევრის - თეონა აქუბარდიას კითხვა, N4153/3-2/21, 06-05-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10026>

¹⁰² საქართველოს პარლამენტის წევრის - ირაკლი ბერაიას კითხვა, N 2379/4-8/21, 18-03-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9897>

¹⁰³ საქართველოს პარლამენტის წევრის - ალექსანდრე ტაბატაძის კითხვა, N2450/3-94/21, 19-03-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9908>

¹⁰⁴ საქართველოს პარლამენტის წევრის - ვლადიმერ ჩაჩიბაიას კითხვა, N 2454/3-106/21, 19-03-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9902>

ზოგიერთ შემთხვევაში უწყების მიერ გაცემულ პასუხს თანდართული არ აქვს შესაბამისი დანართი. ამ შემთხვევაში შეუძლებელია, შეფასდეს, თუ რამდენად სრულყოფილი და სათანადო პასუხი გაეცა დეპუტატის კითხვას. მაგალითად, ასეთია პარლამენტის წევრ ანა ნაცვლიშვილის მიერ დასმული კითხვა¹⁰⁵ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ამ კითხვაზე რეალური შინაარსობრივი პასუხის შემცველი დანართი პარლამენტის ვებგვერდზე ხელმოუწვდომელია¹⁰⁶.

საინტერესოა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ **უპასუხოდ** დატოვებული კითხვების თემატიკაც. კობა ნაყოფიას, თამარ კორძაიას, ირაკლი აბესაძის და რომან გოცირიძის მიერ დასმული კითხვები სამინისტროსგან გარკვეულ ფინანსური ინფორმაციის მოწოდებას ითხოვდა და სამხედრო მოსამსახურეების სოციალური უზრუნველყოფის თემებს შეეხებოდა. კობა ნაყოფიას კითხვა¹⁰⁷ შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა საფუძვლით დასაქმებული პირების თანამდებობრივ სარგოს, დანამატებს, ასევე სამინისტროს მიერ გაწეულ სამივლინებო და წარმომადგენლობით ხარჯებს. რომან გოცირიძე¹⁰⁸ მსგავს ინფორმაციას ითხოვდა სამინისტროსგან: ინფორმაციას სამხედრო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების, დასაქმებულთა რაოდენობის და სახელფასო ფონდის შესახებ. ირაკლი აბესაძე კი ითხოვდა ინფორმაციას სამხედრო მოსამსახურეების ბინით უზრუნველყოფის შესახებ¹⁰⁹. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ვლადიმერ ჩაჩიბაიას კითხვა¹¹⁰ მოიცავდა კობა ნაყოფიას და ირაკლი აბესაძის მიერ დასმული კითხვების შინაარსს. ჩაჩიბაიას კითხვას, საპარლამენტო ოპოზიციის კითხვებისგან განსხვავებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დეტალურად უპასუხა¹¹¹ და მიაწოდა ის ინფორმაცია, რომელიც არ გასცა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ დასმული კითხვების შემთხვევაში.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრის კიდევ ერთი უპასუხოდ დარჩენილი კითხვა შეეხება სამინისტროს მიერ სხვადასხვა სოციალური გვერდების დასპონსორებაში დახარჯულ თანხებს და დოკუმენტაციას მედიასაშუალებებთან თანამშრომლობის შესახებ¹¹² რაც სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა. თავდაცვის სამინისტრომ ასევე უპასუხოდ დატოვა საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ალექსანდრე ტაბატაძის კითხვები: 1. საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის და ამ მიმართულებებით გადადგმული ნაბიჯებისა და

¹⁰⁵ საქართველოს პარლამენტის წევრის - ანა ნაცვლიშვილის კითხვა N12047/3-81/21, 10-12-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/14967>

¹⁰⁶ იხ. <https://parliament.ge/supervision/deputy-question>

¹⁰⁷ საქართველოს პარლამენტის წევრ კობა ნაყოფიას კითხვა N5760/3-79/20, 03-07-2020, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/8769>

¹⁰⁸ საქართველოს პარლამენტის წევრ რომან გოცირიძის კითხვა N8741/3-17/21, 18-08-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/12847>

¹⁰⁹ საქართველოს პარლამენტის წევრ ირაკლი აბესაძის კითხვა N9085/3-1/20, 05-10-2020, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9539>

¹¹⁰ საქართველოს პარლამენტის წევრის ვლადიმერ ჩაჩიბაიას კითხვა N3242/3-106/21, 09-04-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10028>

¹¹¹ იხ: <https://parliament.ge/supervision/deputy-question>

¹¹² საქართველოს პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N5996/3-53/21, 15-06-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10689>

პროგრესის შესახებ;¹¹³ და 2. 2019-2020 წლებში „თავდაცვისუნარიანობის“ განმტკიცების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.¹¹⁴

საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ ერთი და იმავე შინაარსის კითხვებზე თავდაცვის სამინისტროს განსხვავებული პასუხის კიდევ ერთი მაგალითია რეზერვში გაწვეულ პირთა რაოდენობა. ამ საკითხზე თავდაცვის სამინისტროს კითხვა გაუგზავნეს როგორც თეონა აქუბარდიამ,¹¹⁵ ასევე ეკა სეფაშვილმა.¹¹⁶ თავდაცვის სამინისტრომ თეონა აქუბარდიას უპასუხა,¹¹⁷ რომ, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების არ მქონე პირს, ამ ინფორმაციაზე წვდომა მას შეზღუდული ჰქონდა.¹¹⁸ ეკა სეფაშვილს ეს ინფორმაცია მიაწოდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.¹¹⁹

საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლების კითხვები შინაარსობრივად ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები უმეტესად ინტერესდებიან სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯების რაოდენობის, მიზნობრიობის, ამ ხარჯების ცვლილებების დინამიკით და მსგავსი საკითხებით, ან უწყების ზოგადი პოლიტიკით (მაგალითად შეკითხვა ევროსტრუქტურებში გაწევრიანებისთვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ). საპარლამენტო უმრავლესობის წევრების შეკითხვები შედარებით სპეციფიკურია და უწყების საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შესახებ კონკრეტული პროგრამებს და პროექტებს ეხება.¹²⁰ ეს განსხვავება, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების იმ მცირერიცხოვანი წარმომადგენლებისთვის, რომლებიც კითხვებს სვამენ, შედარებით უფრო ნაცნობია თავდაცვის სამინისტროს საქმიანობა (მაგალითად, ვლადიმერ ჩაჩიბაია რომელიც იკავებდა საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის თანამდებობას). ოპოზიციონერ დეპუტატებს შორისაც თეონა აქუბარდია, რომელსაც წარსული სამუშაო გამოცდილების გამო უფრო მეტი ინფორმაცია აქვს ამ უწყების საქმიანობაზე, შედარებით უფრო სპეციფიკურ და დეტალურ ინფორმაციას ითხოვს თავდაცვის სამინისტროსგან.¹²¹ ამ ფონზე კიდევ ერთხელ

¹¹³ საქართველოს პარლამენტის წევრის ალექსანდრე ტაბატაძის კითხვა N3457/3-94/21, 14-04-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9950>

¹¹⁴ საქართველოს პარლამენტის წევრის ალექსანდრე ტაბატაძის კითხვა N3458/3-94/21, 14-04-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9951>

¹¹⁵ საქართველოს პარლამენტის წევრის - თეონა აქუბარდიას კითხვა N5096/3-2/21, 28-05-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10296>

¹¹⁶ საქართველოს პარლამენტის წევრის - ეკა სეფაშვილის კითხვა N3192/3-92/21, 07-04-2022, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9961>

¹¹⁷ იხ: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10473>

¹¹⁸ თეონა აქუბარდიას განაცხადი სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების შესახებ, მხოლოდ ამ თემაზე საჯაროდ დაწერილი ფისბუქპოსტის შემდეგ დაკმაყოფილდა.

¹¹⁹ იხ: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9962>

¹²⁰ მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრის - ირაკლი ბერაიას კითხვა N 3089/4-8/21, 06-04-2021, იხ: <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9936>. ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრის - გიორგი ხელაშვილის კითხვა N3178/3-123/21, 07-04-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9945>

¹²¹ საქართველოს პარლამენტის წევრის - თეონა აქუბარდიას კითხვა N5096/3-2/21, 28-05-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10296>, ასევე, კითხვა N11095/3-2/21, 11-11-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/14268> .

იკვეთება პარლამენტის დარგობრივ კომიტეტთან კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფის არსებობის საჭიროება, რომელიც კონსულტაციას გაუწევს და დაეხმარება პარლამენტის წევრებს, გააფართოონ ზედამხედველობის ფუნქციის შინაარსობრივი არეალი.

5.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში წერილობითი კითხვის მექანიზმის გამოყენებით საპარლამენტო კონტროლი უფრო ეფექტიანად ხორციელდება. ეს ძირითადად გამოიხატება გაგზავნილი კითხვების რაოდენობაში, შინაარსში, უპასუხოდ დარჩენილი კითხვების სიმცირეში (75 კითხვიდან 5 - უპასუხო) და დეტალურად გაცემულ პასუხებში. უპასუხოდ დარჩენილი კითხვების ავტორების უმეტესობა საპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენს (ანა ნაცვლიშვილი, თამარ კორძაია).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არის შემთხვევები, როდესაც პასუხები არ არის დეტალური და ამომწურავი.

ერთ შემთხვევაში, პარლამენტის წევრი იაგო ხვიჩია ითხოვდა ინფორმაციას 2000 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, სულ რამდენი ავტოავარია მოხდა. აქედან რამდენი შემთხვევა იყო: ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლის მიერ მანქანის მართვის შედეგად, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლის მიერ მანქანის მართვის შედეგად, კანაფის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლის მიერ მანქანის მართვის შედეგად.¹²² შსს-მ ოფიციალურ პასუხში მიუთითა ბმული, სადაც ქვეყნდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია. მიუხედავად ამა თუ იმ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობისა, შსს ვალდებულია, პარლამენტის წევრს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია. შსს-ს მითითებულ ბმულზე ჩაშლილი არ არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზების სტატისტიკური მონაცემები. მეტიც, სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია 2015 წლიდან.¹²³

შსს-მ ასევე არასრული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პარლამენტის წევრ კობა ნაყოფიას.¹²⁴ დეპუტატი პასუხში მითითებული ინფორმაციის გარდა, ითხოვდა ინფორმაციას როგორც ადმინისტრაციული, ისე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის (ცალ-ცალკე) დარიცხული თანამდებობრივი სარგოს, დარიცხული საკლასო დანამატის, სახელფასო დანამატის, გაცემული ფულადი ჯილდოს ოდენობის (თვეების მიხედვით) შესახებ.¹²⁵

¹²² საქართველოს პარლამენტის წევრის - იაგო ხვიჩიას კითხვა, N 6317/3-125/21, 23-06-2021, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/10818>

¹²³ იხ. ბმული <https://info.police.ge/page?id=105>

¹²⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/9136>

¹²⁵ პარლამენტის წევრის კობა ნაყოფიას კითხვა, N5751/3-79/20, 03-07-2020 <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/8760>

შსს-დან მიღებული კიდევ ერთი პასუხი, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხების მსგავსად, არასრულია. საქართველოს პარლამენტის წევრის, თამარ კორძაიას მიერ გაგზავნილ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე უკრაინის მოქალაქეთა მიმართ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ფაქტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში, თუმცა დანართი ვებგვერდზე გამოქვეყნებული არ არის.¹²⁶ ეს ფაქტი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ტექნიკური ხარვეზით, თუმცა ეს ხელს უშლის გარე კონტროლის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას.

მიუხედავად გაგზავნილი კითხვის ფაქტობრივად იდენტური შინაარსისა, შსს-მ განსხვავებული პასუხები გასცა მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. პარტია „ქართული ოცნების“ წევრის გიგა ბუკიას წერილობით კითხვას, რომლითაც პარლამენტის წევრი ითხოვდა სტატისტიკური მონაცემებს სუიციდის ფაქტების შესახებ წლების და გარდაცვლილთა ასაკისა და სქესის მიხედვით, ასევე სუიციდის მცდელობის რამდენ ფაქტზე დადგა ლეტალური შედეგი,¹²⁷ სამინისტრომ ამომწურავად უპასუხა.¹²⁸ ამისგან განსხვავებით, ორი თვით ადრე, რომან გოცირიძის კითხვაზე, რითაც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ითხოვდა ინფორმაციას 2020 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში სუიციდის შემთხვევების რაოდენობის შესახებ (ცალ-ცალკე თვეების მიხედვით) შსს-მ მიუთითა, რომ პარლამენტის წევრს შეუძლია, ინფორმაცია 2020 წლის იანვარი-აპრილის თვეებში სუიციდის შემთხვევების რაოდენობის შესახებ თავად მოიძიოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე. ამ ინფორმაციის თვეების მიხედვით მიწოდებაზე კი უარი იმ საფუძველზე უთხრა, რომ „მონაცემების მოძიება/დამუშავება წარმოებს სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფებიდან გამომდინარე ინფორმაციის საფუძველზე, 6 (ექვსი) თვისა და სრული კალენდარული წლის მდგომარეობით.“¹²⁹

ამასთან, საინტერესოა იმის განსაზღვრა, თავად პარლამენტის დეპუტატები რამდენად იყენებენ წერილობითი კითხვის მექანიზმს უშუალოდ კონტროლის განხორციელების მიზნებისთვის. ერთ-ერთ წერილობით კითხვაში, პარლამენტის წევრი შსს-ს მიმართავს შემდეგი თხოვნით: *„კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ: მიუძღვის თუ არა ბრალი ყოფილი პოლიციის კაპიტანს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს მის ნარკოტიკებთან შემხებლობას. თუ ვალერიანე გოგსაძის ბრალეულობა არ დადასტურდება, იქნებ შესაძლებელი გახდეს მისი შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენა. თუნდაც არაოპერატიულ დანაყოფებში გამოსაცდელი ვადით.“*¹³⁰ ამასთან, წერილში მითითებულია, რომ პასუხი უნდა ეცნობოს ზემოთ აღნიშნული პირის ოჯახს.

დადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი კითხვის მექანიზმის გამოყენების დინამიკა, განვლილ წლებთან შედარებით, გაზრდილია. ამასთან, განსხვავებით

¹²⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, MIA 6 21 03369674, 23/12/2021

¹²⁷ საქართველოს პარლამენტის წევრის - გიგა ბუკიას კითხვა N 5938/3-14/20, 08-07-2020 <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/8834>

¹²⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, MIA 9 20 01593590, 14/07/2020 <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/8927>

¹²⁹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, MIA 7 20 00992325, 06/05/2020 <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/8236>

¹³⁰ პარლამენტის წევრის - ბაჟან წაქაძის კითხვა, N 6993/3-112/21, 08-07-2021 <https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/11015>

წინა წლებისგან, 2021 წელს შეიმჩნევა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების გააქტიურება. კითხვის ადრესატები, ხშირ შემთხვევაში, იყენებენ განსხვავებულ მიდგომას, იმის მიხედვით, კითხვის ავტორი წარმოადგენს სახელისუფლებო თუ ოპოზიციურ ძალას პარლამენტში, რაც გამოიხატება შემდეგში: პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებების მხრიდან უპასუხოდ დატოვებულია ან არასრულყოფილად და ბუნდოვნად აქვს გაცემული პასუხები ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს.

4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასება

2022 წლის 15 აპრილს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (შემდგომში „სუს-ი“) საქართველოს პარლამენტს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. საშინაო და საგარეო უსაფრთხოების კუთხით არსებული არაერთი გამოწვევის მიუხედავად, პარლამენტის ბიურომ სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშის საკომიტეტო განხილვა ორი თვის დაგვიანებით, 17 ივნისს დაანიშნა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. ეს უკანასკნელი უწყებაზე კონტროლს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ახორციელებს, რომელთაგან ერთ-ერთი სუს-ის საქმიანობის წლიური ანგარიშის განხილვაა. სუს-ის ანგარიშები, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად ინფორმაციულია, რაც შეუძლებელს ხდის ეფექტიან საპარლამენტო ზედამხედველობას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი სუს-ის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშს გაეცნო. ორგანიზაციის შეფასებით, დოკუმენტი უკიდურესად ზოგადია, რაც საქართველოს პარლამენტის წევრებს ვერ შეუქმნის სუს-ის საქმიანობასთან დაკავშირებით რეალურ წარმოდგენას და ვერ მიაწოდებს იმ მოცულობის ინფორმაციას, რაც ამ უკანასკნელს სუს-ზე დემოკრატიული საპარლამენტო კონტროლის შესაძლებლობისთვის სჭირდება.

DRI აცნობიერებს, რეგიონში შექმნილი უკიდურესად რთული გეოპოლიტიკური ვითარება სუს-ისგან ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაციის განსაკუთრებულ რეჟიმში მოპყრობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები ვერ გადაწონის უკიდურესად ფართო ძალაუფლებით აღჭურვილი უსაფრთხოების სამსახურის საპარლამენტო კონტროლის ინტერესს.

იმის ნაცვლად, რომ ანგარიშში შეძლებისდაგვარად ამომწურავად უნდა იყოს საუბარი კონკრეტული წყაროებიდან მომდინარე საფრთხეებზე (რაში გამოიხატება/საიდან მომდინარეობს საფრთხე), წარსული გამოცდილებიდან მიღებულ გაკვეთილებზე (რა გაკვეთდა წარსულში ამგვარ საფრთხეებზე რეაგირებისთვის და რამდენად ეფექტიანი იყო ამგვარი პროგრამები/ქმედებები), საფრთხის მიმართ სუს-ის პასუხზე (განხორციელებული აქტივობები/დახარჯული ფინანსური¹³¹ და ადამიანური რესურსები), ანგარიში

¹³¹ სადაც საჭიროების შემთხვევაში დაიშტრიხებოდა განსაკუთრებით სენსიტიური ინფორმაცია.

შემოიფარგლება ისეთი უკიდურესად ზოგადი ფრაზებით, როგორებიცაა: „გატარდა სათანადო ღონისძიებები“, „გაიმართა არაერთი შეხვედრა“, „გატარდა კომპლექსური ღონისძიებები“, „მიმდინარეობდა უწყებათაშორისი კოორდინაცია“ და სხვ.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სუს-ი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ძირითადი საფრთხის წყაროდ ქვეყანაში არსებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ ჯგუფებს, პროტესტის მონაწილეებსა და, სავარაუდოდ, ოპოზიციურად განწყობილ ტელევიზიებს განიხილავს.

ანგარიშში ზერელედაა საუბარი იმ რეპუტაციულ ზიანზე, რაც სუს-ს მიადგა 2021 წლის სექტემბერში სავარაუდოდ უკანონო მიყურადების შედეგად შედგენილი ფაილების გაჟონვის შედეგად. ნაცვლად იმისა, რომ ანგარიშში კრიტიკულად იყოს გააზრებული სისტემური პრობლემები, რამაც სახელმწიფოს რეპრესიული აპარატი მოქალაქეთა (და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა) ფართო ჯგუფის წინააღმდეგ უკანონო მოქმედებაში მოიყვანა და პარლამენტს ეცნობოს სისტემის შიგნით ამ ტიპის მასშტაბური დანაშაულის გამოსავლენად/აღსაკვეთად დაგეგმილი ღონისძიებების/პროგრამების შესახებ, სუს-ს პასუხისმგებლობა გადააქვს გარე აქტორებზე, რომლებმაც საკითხი „სამართლებრივი სივრციდან მიზანმიმართულად გაიტანეს.“¹³² თუმცა იგი არ აღნიშნავს, თავად რა გააკეთა ამ პრობლემის სამართლებრივ სივრცეში დასაბრუნებლად - კერძოდ, მინიმუმ, სუს-ის გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა თუ არა შიდა მოკვლევა და პროკურატურაში მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების დასრულებამდე დადგა თუ არა ვინმეს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

სუს-ის ანგარიშის ანალიზი კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ უწყების რესურსი არარაციონალურად იხარჯება და მისი ინტერესი მიჰყრებილია არა რეალური საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ პოლიტიკური ჯგუფების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვალთვალისა და მიყურადებისკენ.

„უსაფრთხოების გარემოს დაზიანების და დესტაბილიზაციის მცდელობები“

ეს თავი საქართველოს პარლამენტს შიდაპოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვას სთავაზობს, შესაბამისი კონკრეტულის და სუს-ის მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებების გარეშე. დოკუმენტის მიხედვით 2021 წელს გამოიკვეთა „დესტრუქციულ გარე აქტორებთან შესაძლო კავშირის მქონე პოლიტიკური ძალების სხვადასხვა ფორმით გააქტიურების ტენდენცია“. ანგარიშის მიხედვით მათი ნაწილი პროდასავლური კურსის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა.¹³³ ანგარიში არ აკონკრეტებს იმ „დესტრუქციულ გარე აქტორებს“, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში ანტიდასავლური განწყობების გავლივით, არც იმას, კონკრეტულად რომელი ჯგუფები ეწეოდნენ ანტიდასავლურ რიტორიკას. გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის უზოგადესი ფორმულირება საქართველოს პარლამენტს, რომელსაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა ავალია, ვერ მისცემს სათანადო ინფორმაციას იმ გარე და შიდა აქტორების შესახებ, საიდანაც, შესაძლოა, საფრთხე მოდიოდეს.

¹³² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 22. ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/34501>

¹³³ იქვე. გვ. 20

2021 წელს პოლიტიკურ წარმონაქმნად („კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“) გადაქცეული მედიასაშუალება „ალტ-ინფო“ აქტიურად ავრცელებდა ძალადობრივ ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ გზავნილებს, რომელთა შესაჩერებლადაც სახელმწიფოს ქმედითი ღონისძიება არ განუხორციელებია. სუს-ის ანგარიშში არაფერია ნათქვამი არც ამ პოლიტიკური დაჯგუფების/მედიაპლატფორმის საფრთხის შემცველ მოქმედებებზე და არც სამსახურის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. კერძოდ, ანგარიშის მიღმა რჩება მთელი რიგი კითხვები - სწავლობს თუ არა უსაფრთხოების სამსახური ამ „სუბიექტების“ კავშირებს რუსეთთან და მათ როლს 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზებაში.

ანგარიშში გაკვრივითაა ნახსენები, რომ „უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა“ საინფორმაციო ომში ჩართული ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების გამოვლენა. თუმცა არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რა გამოიკვეთა „გამოვლენის შედეგად“ - რამდენი ორგანიზაცია იღებს ფინანსურ რესურსს რუსეთის ფედერაციიდან, რა მოცულობისაა ეს დაფინანსება, დაიწყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა უცხო ქვეყნისათვის დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებაზე და სხვ.

ანგარიშში ცალკე გამოტანილი ქვეთავში „*დესტაბილიზაციის მცდელობები*“ მითითებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო, თუმცა დაკონკრეტებულია არ არის, წარედგინა თუ არა ვინმეს ბრალი და/ან მიღებულია თუ არა საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

საუბარი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წლიურ ანგარიშში აქციებსა და პერფორმანსებზე,¹³⁴ რომლებსაც ამ სამსახურის მუშაობით უკმაყოფილო მოქალაქეებმა გაუწიეს ორგანიზება, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უწყების რესურსი არამიზნობრივად და არამართებულად იხარჯება. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, უწყების მხრიდან წლიურ ანგარიშში ამგვარ თემებზე აპელირება, იმის დაუსაბუთებლად, რამდენად უქმნიდა საფრთხეს ამგვარი აქციები სახელმწიფო უსაფრთხოებას და, შესაბამისად, რამდენად ექცეოდა მის სამუშაო მიმართულებაში, წარმოადგენს სუს-ის მხრიდან კრიტიკის და ლეგიტიმური შეკითხვებისთვის თავის არიდების მცდელობას.

ანტიკორუფციული სააგენტო და ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ¹³⁵

ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ფაქტობრივად გასაიდუმლოებული უწყებისთვის საგამომიებო, განსაკუთრებით კი კორუფციული დანაშაულის გამოძიების მანდატის მინიჭება არაერთხელ გამხდარა ჩვენი კრიტიკის საგანი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბუნდოვანია, კონკრეტულად რომელი კორუფციული დანაშაული შეიცავს საფრთხეს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის.

სუს-ის ანგარიშის ეს ნაწილი შედარებით ვრცელი და სხვა თავებთან შედარებით დეტალურია. მასში დაკონკრეტებულია პასუხისგებაში მიცემულ ადამიანთა რაოდენობა, ამოღებული ფულადი თანხა, სისხლის სამართლის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების რაოდენობა და სხვ. თუმცა, ანგარიშში არ ჩანს, თუ რა შემთხვევაში იწყებს ანტიკორუფციული სააგენტო გამოძიებას და რა შემთხვევაში იგზავნება საქმე სხვა სტრუქტურებში საგამომიებო

¹³⁴ იქვე. გვ. 23

¹³⁵ იქვე. გვ. 34

ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით.¹³⁶ ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს, სუს-მა, ანგარიშის მიხედვით, გამოძიება დაიწყო 53 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, თაღლითობის ფაქტებზე, რომელიც არ მიეკუთვნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამომიებო ქვემდებარეობას და მის კომპეტენციას სცდება.

ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები¹³⁷

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასა და იმ პრობლემებზე, რაც, ზოგადად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2021 წელს გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ამ ნაწილში აქცენტი გაკეთებულია როგორც ანექსიისკენ მიმართულ პროცესებზე, ისე, საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობებზე, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე, მათ შორის, უკანონო დაკავებებზე - ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, ე.წ. ბორდერიზაციის საკითხს, რომელიც, გასული წლების მსგავსად, 2021 წლისთვისაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ანგარიშში მხოლოდ მცირე ნაწილი ეთმობა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში აღნიშნულია ბორდერიზაციის შემთხვევათა რაოდენობა, ანგარიში არ აკონკრეტებს, უკანონო ბორდერიზაციის შედეგად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის რა ნაწილი მოექცა უკანონო „საზღვრის“ მეორე მხარეს და რამდენი სოფელი/კომლი/ადამიანი დაზარალდა. ასევე, უცნობია, უკანონო ბორდერიზაციით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად, სუს-მა კონკრეტულად რა ქმედითი ნაბიჯები გადადგა.

ზედამხედველობა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპარლამენტო კონტროლი როგორც უშუალოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე, ისე ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოზე ეფექტიანად განხორციელდა. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ნდობის ჯგუფმა ორჯერ შეამოწმა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ ნდობის ჯგუფის წევრისგან მიღებული ინფორმაციით, ეს შემოწმება სააგენტოს კონტროლს ვერ უზრუნველყოფს, ვინაიდან მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება.

ანგარიშში მითითებული არ არის, 2021 წლის სექტემბერში, სავარაუდოდ უკანონოდ განხორციელებული ფარული მიყურადების ფაილების გასაჯაროების შემდეგ რა ტიპის ზედამხედველობა განხორციელდა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოზე პარლამენტის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ნდობის ჯგუფს არ მიუღია არანაირი ზომა, მათ შორის, არ დაუბარებია სააგენტოს ხელმძღვანელი სხდომაზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სააგენტომ პარლამენტს წარუდგინა განზოგადებული და სტატისტიკური ანგარიში, თუმცა ვერც ეს ჩაითვლება ზედამხედველობის განხორციელების ეფექტიან საშუალებად.

ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სუს-მა საანგარიშო პერიოდში არაერთ სადეპუტატო კითხვას გასცა პასუხი. კერძოდ, სუს-ის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს, სამსახურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 32 სადეპუტატო შეკითხვაზე (აქედან, 9 მათგანზე ნდობის ჯგუფის ფარგლებში). თუმცა დემოკრატიის კვლევის

¹³⁶ იქვე. გვ. 34

¹³⁷ იქვე. გვ. 6

ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღნიშნულ წელს მხოლოდ **11 სადეპუტატო წერილობითი კითხვა გაეგზავნა**.

ასევე, ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს ნდობის ჯგუფთან გაიმართა **7 შეხვედრა**, რომლებზეც სამსახურის ხელმძღვანელობამ კანონმდებლობით დადგენილი წესით წარადგინა ინფორმაცია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხზე. თუმცა, DRI-ის მიერ საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, სუს-ის წლიური მოხსენების წარდგენის ჩათვლით, ნდობის ჯგუფმა **6 სხდომა** გამართა სამსახურის ხელმძღვანელის ან/და წარმომადგენლის მონაწილეობით.

ანგარიშში ფაქტობრივი უზუსტობის კიდევ რამდენიმე მაგალითი გვხვდება. კერძოდ, ანგარიშის¹³⁸ თანახმად, საანგარიშო პერიოდში სუს-ი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა უწყებათაშორის კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, მათ შორის, ანტიკორუფციულ საბჭოში, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. თუმცა 2021 წლის 24 დეკემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ანტიკორუფციულმა საბჭომ ბოლო შეხვედრა 2019 წელს გამართა. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით კი 2021 წელს არც ამ საბჭოს შეხვედრა გამართულა.

¹³⁸ იქვე. გვ. 48